შპს დემასო ვუდ

ს/კ 405086419

№ 2204-811 28.04.2022

შპს “საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ”-ს

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის შემდგომ, შპს „დემასო ვუდ“ მზადაა თქვენს საკუთრებაში არსებულ ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი, კასპის ქუჩა, N12) განახორციელოს 4 დიდტანიანი ხე-მცენარის (დიამეტრები – 62 სმ, 43 სმ, 33 სმ და 75 სმ) გადარგვა თანდართული გადარგვის პროექტის (დოკუმენტი № 2204-801) შესაბამისად.

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

თბილისი, დ. არაყიშვილის ქ. № 14, ბინა 7 • App. 7, 14 D. Arakishvili Street, Tbilisi, Georgia
✆ (+995) 593 18 18 70 • ✉ demasowood@gmail.com

დოკ. №: 2204-801

თარიღი: 28.04.2022

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

გადაირგვება ერთი (იმავე) მიწის ნაკვეთის ფარგლებში

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, კასპის ქუჩა N12	*01.17.13.001.356*	*შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"*	*3384 მ²*

გადასარგავ დიდტანიან (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: ***4***

დამკვეთი:

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
გადასარგავი მცენარეები	*1*
ნიადაგის მომზადება გადასარგავად	*1*
ხე-მცენარის ამოღება	*1*
ხე–მცენარის გადარგვა	*2*
გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა	*3*

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ქ. თბილისში, კასპის ქუჩის N12 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტის ფარგლებში 4 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები.

აღნიშნული 4 დიდტანიანი ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 03.02.2022 №2202-011 საექსპერტო დასკვნით.

მცენარეები გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ისინი ამჟამად მდებარეობენ (ს/კ 01.17.13.001.356).

გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში.

გადასარგავი მცენარეები

ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მშენებლობის პროექტით იგეგმება, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 4 ხე-მცენარის - კვიპაროზის (Cupressus sempervirens) გადარგვა. მათი ზოგადი მახასიათებლები გადასარგავი კომის ზომების ჩათვლით მოცემულია ცხრილ 1-ში.

აღნიშნულ ხეებს „დემასო ვუდის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 03.02.2022 №2204-811 საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნომრები: კვიპაროზი - №№ 27, 28, 30, 31.

ცხრილი 1. გადასარგავი ხეების ნუსხა, მათი ტაქსაციური მაჩვენებლები და კომის ზომები.

რიგ. №	ხის №	სახეობა	კომის სიგანე (სმ)	ღეროს ⌀ (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)
				10 სმ	1.3 მ	
1	27	კვიპაროზი (Cupressus)	434	62	51	18
2	28	კვიპაროზი (Cupressus)	301	43	37	18
3	30	კვიპაროზი (Cupressus)	231	33	28	12
4	31	კვიპაროზი (Cupressus)	525	75	64	17

ნიადაგის მომზადება გადასარგავად

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება

1. გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით (იხ. ცხრილი 1), სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე.
2. კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.

3. ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება.
4. ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.).
5. მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხე-მცენარეებზე ხორცილედება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

ხე–მცენარის გადარგვა

1. გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.
2. გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო:
   - რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;
   - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
   - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
   - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).
3. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით.
4. ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს.
5. ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან.
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
8. ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
9. ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში.
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება.
4. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ.
5. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით.
6. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად.
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.
9. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (პ/ნ 01008013049)

დოკ. №: 2202-011

თარიღი: 03.02.2022

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, კასპის ქუჩა, N12	*01.17.13.001.356*	*შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"*	*3384 მ²*

შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა: ***61***

დამკვეთი: *შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"*

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*2*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*3*

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია

შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ (405086419)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70

შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, კასპის ქუჩის N12 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა რაოდენობრივ-ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს 2000 წლის 1 დეკემბრის №594 კანონის შესაბამისად.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 3384 მ^2.

ტერიტორიას გააჩნია შემდეგი ზონალური კუთვნილება:
- *ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება:* შუალედური ზონა (შზ)
- *ფუნქციური ზონირება:* 1. სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1); 2. გამწვანებული ტერიტორიები. კატეგორია - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
- *შეზღუდვის ზონირება:* არ ხვდება შეზღუდვის ზონაში

ჩატარებული სამუშაო

2022 წლის 30 იანვარს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვის შესაძლებლობა, მოხდა თითოეული მცენარის დასურათება.

სულ, შეფასდა 61 მერქნიანი მცენარე, რომელთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

მცენარეთა განაწილება სახეობათა ჯგუფების მიხედვით

აღწერილი 61 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- **1 ინდივიდი – ხილკენკროვანი სახეობა**
  - 1 ტყემალი (Prunus cerasifera) N 38
- **1 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობა**
  - 1 კვიდო (Ligustrum) N 61
- **40 ინდივიდი (4 გადაბერებული, 8 ხმობადი, 2 ზეხმელი, 4 ამორტიზებული) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 7 მინდვრის ნეკერჩხალი (Acer campestre) NN 41, 46, 49, 55, 58, 59, 60
  - 5 ბოკვი (Acer velutinum) NN 48, 51, 53, 54, 57
  - 1 ქაღალდის ხე (Broussonetia papyrifera) N 52
  - 1 იფანი (Fraxinus) N 42
  - 3 თუთა (Morus) NN 9, 29 (ხმობადი), 50
  - 2 ჭადარი (Platanus) NN 36 (გადაბერ.), 37 (გადაბერ.)
  - 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N 47 (ხმობადი)
  - 4 ალვის ხე (Populus nigra) NN 32 (ამორტიზ.), 33 (ამორტიზ.), 34 (ამორტიზ.), 35 (ამორტიზ.)
  - 1 თეთრი ვერხვი (Populus alba) N 44
  - 3 თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia) NN 2 (ხმობადი), 39 (ხმობადი), 40 (ზეხმელი)
  - 8 იაპონური სოფორა (Sophora Japonica) NN 3 (ხმობადი), 5, 7, 8 (ხმობადი), 13 (გადაბერ.), 14 (გადაბერ.), 16 (ხმობადი), 26 (ხმობადი)
  - 4 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) NN 1, 4, 43 (ზეხმელი), 45
- **17 ინდივიდი (1 ზეხმელი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვნები**
  - 1 ჰიმალაის კედარი (Cedrus deodara) N 25
  - 16 კვიპაროზი პირამიდული (Cupressus) NN 6, 10, 11, 12, 15, 17, 18, 19, 20, 21, 22 (ზეხმელი), 23, 27, 28, 30, 31
- **1 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი**

- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 56

- **1 ინდივიდი – მაღალი ღირებულების ჯგუფის წიწვოვანი**
  - 1 ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica) N 24

მათ შორის, **1 ძირი წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 56

მცენარეთა მდგომარეობა

აღწერილი 61 მცენარიდან 45 არის ჯანსაღი, ხოლო 19 - გადაბერებული, ამორტიზებული, ხმობადი ან ზეხმელი.

19 არაჯანსაღი მცენარიდან 9 არის გადაბელილი (NN 2, 32, 33, 34, 35, 36, 37 43, 47), ხოლო 9 დიდტანიანი გადაუბელავი ხე-მცენარე (NN 3, 8, 13, 14, 16, 26, 29, 39, 40), მსხვილი ხმელი ტოტების ცვენის რისკის გამო, ავარიულ ინდივიდად იქნა მიჩნეული. იხ. ცხრილი 1.

ცხრილი 1. *01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე არსებული არაჯანსაღი და ავარიული მცენარეები.*

№	მც. №	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
			10 სმ	1.3 მ		
1	2	აკაცია (Robinia pseudoacacia)	37	23.9	6	ხმობადი/ გადანაბელი
2	3	სოფორა (Sophora Japonica)	53	48	11	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული
3	8	სოფორა (Sophora Japonica)	51	45	13	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული
4	13	სოფორა (Sophora Japonica)	70	64	16	გადაბერ./ ფაუტი/ სუროიანი/ ავარიული
5	14	სოფორა (Sophora Japonica)	64	57	16	გადაბერ./ სუროიანი/ ავარიული
6	16	სოფორა (Sophora Japonica)	37	30	13	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული/ ავარიული
7	22	კვიპაროზი (Cupressus)	17.5	11.8	6	ზეხმელი/ სურო
8	26	სოფორა (Sophora Japonica)	54	49	13	ხმობადი/ ფუღურო/ ავარიული
9	29	თუთა (Morus)	75	70	16	ხმობადი/ ფაუტი/ სურო/ ავარიული
10	32	ალვის ხე (Populus nigra)	80	64	11	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი/ სურო
11	33	ალვის ხე (Populus nigra)	56	38	11	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი/ სურო
12	34	ალვის ხე (Populus nigra)	49	41	10,5	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი/ სურო
13	35	ალვის ხე (Populus nigra)	61	48	11	ამორტიზ./ გადანაბელი
14	36	ჭადარი (Platanus)	156	134	9	გადაბერ./ გადანაბელი/ აბედა
15	37	ჭადარი (Platanus)	166	143	9	გადაბერ./ გადანაბელი
16	39	აკაცია (Robinia pseudoacacia)	64	51	13	ხმობადი/ სურო/ მეტი წილი გამხმარი/ ავარიული
17	40	აკაცია (Robinia pseudoacacia)	48	32	11	ზეხმელი/ სურო/ ავარიული
18	43	ცაცხვი (Tilia caucasica)	43	35	7	ზეხმელი/ გადანაბელი
19	47	ვერხვი (Populus deltoides)	80	64	13	ხმობადი/ ამორტიზ./ გადანაბელი/ სურო

გადარგვის შესაძლებლობა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გადარგვას (შემდგომი გახარების მაღალი ალბათობით) შეიძლება დაექვემდებაროს 24 არახილკენკროვანი ინდივიდი, რომლებიც მოიცავს შემდეგ ნომრებს: 23, 27, 28, 30, 31, 41, 42, 44, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61.

მათგან, 76 მცენარის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ ან ნაკლები, ხოლო 9 მცენარე არის დიდტანიანი (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი). იხილეთ ცხრილი 2.

ცხრილი 2. *გადარგვადი მცენარეების ნომრები და რაოდენობები სახეობების მიხედვით.*

N	სახეობა	რაოდ.	მცენარეთა ნომრები
25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მცენარეები (20 ძირი)			
1	კვიდო (Ligustrum)	1	61
2	ნეკერჩხალი (Acer campestre)	7	41, 46, 49, 55, 58, 59, 60
3	ბოკვი (Acer velutinum)	5	48, 51, 53, 54, 57
4	ქაღალდის ხე (Broussonetia papyrifera)	1	52
5	იფანი (Fraxinus)	1	42
6	თუთა (Morus)	1	50
7	თეთრი ვერხვი (Populus alba)	1	44
8	კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica)	1	45
9	კვიპაროზი პირამიდული (Cupressus)	1	23
10	კაკლის ხე (Juglans regia)	1	56
დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) მცენარეები (4 ძირი)			
1	კვიპაროზი პირამიდული (Cupressus)	4	27, 28, 30, 31

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2022 წლის 30 იანვარს, ქ. თბილისში, კასპის ქუჩის N12 მისამართზე, შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს" საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.17.13.001.356 მიწის ნაკვეთზე, 61 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 61 მერქნიანი მცენარიდან 42 არის ჯანსაღი, 19 - გადაბერებული, ამორტიზებული, ხმობადი ან ზეხმელი. მათ შორის:
- 1 ხილკენკროვანი (ჯანსაღი)
- 1 ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ჯანსაღი)
- 40 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (4 გადაბერ, 4 ამორტიზ., 8 ხმობადი, 2 ზეხმელი)
- 17 დაბალი ღირებულების წიწვოვანი (1 ზეხმელი)
- 1 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ჯანსაღი)
- 1 მაღალი ღირებულების წიწვოვანი (ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 1 მცენარე, კერძოდ:
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 56

3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 19 არაჯანსაღი (გადაბერებული, ამორტიზებული, ხმობადი ან ზეხმელი) მცენარე, კერძოდ:
- 1 თუთა (Morus) N 29 (ხმობადი, ფაუტი)
- 2 ჭადარი (Platanus) NN 36 (გადაბერ.), 37 (გადაბერ.)
- 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N 47 (ხმობადი)
- 4 ალვის ხე (Populus nigra) NN 32 (ამორტიზ.), 33 (ამორტიზ.), 34 (ამორტიზ.), 35 (ამორტიზ.)
- 3 თეთრი აკაცია (Robinia pseudoacacia) NN 2 (ხმობადი), 39 (ხმობადი), 40 (ზეხმელი)
- 6 იაპონური სოფორა (Sophora Japonica) NN 3 (ხმობადი), 8 (ხმობადი), 13 (გადაბერ.), 14 (გადაბერ.), 16 (ხმობადი), 26 (ხმობადი)
- 1 კავკასიური ცაცხვი (Tilia caucasica) N 43 (ზეხმელი)
- 1 კვიპაროზი პირამიდული (Cupressus) N 22 (ზეხმელი)

4. ავარიული მცენარეები. ავარიულ ინდივიდებად მიჩნეულ იქნა შემდეგი 9 გადაუბელავი დიდტანიანი არაჯანსაღი ინდივიდი, რომელთა მსხვილი ხმელი ტოტების ცვენის შედეგად შესაძლოა ზიანი მიადგეს გარემოს:
- სოფორა NN 3, 8, 13, 14, 16, 26
- თუთა N 29
- აკაცია NN 39, 40

5. ჭრის რეკომენდაცია. აუცილებელია NN 3, 8, 13, 14, 16, 26, 29, 39 და 40 ავარიული მცენარეების მოჭრა ან გადაბელვა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. ამასთანავე, რეკომენდებულია ტერიტორიაზე არსებული ცხრამეტივე არაჯანსაღი მცენარის მოჭრა (NN 2, 3, 8, 13, 14, 16, 22, 26, 29, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 43, 47).

6. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, 24 არახილკენკროვანი მცენარე შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 23, 27, 28, 30, 31, 41, 42, 44, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61. მათგან, **25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 4 ინდივიდი:**
- 4 კვიპაროზი პირამიდული (Cupressus) NN 27, 28, 30, 31.

მეტი დეტალისთვის იხილეთ:
- წინამდებარე დოკუმენტის 1-3 გვერდები;
- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

№2202-011 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.17.13.001.356

მისამართი:	თბილისი, კასპის ქუჩა, N12
საკადასტრო კოდი:	01.17.13.001.356
ფართობი:	3384 მ^2
მესაკუთრე:	შპს “საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ” (ID № 208215509)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	30.01.2022
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ცაცხვი (Tilia caucasica)	70	64	9	საღი/ სურო
2	აკაცია (Robinia pseudoacacia)	37	23.9	6	ხმობადი/ გადანაბელი
3	სოფორა (Sophora Japonica)	53	48	11	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული
4	ცაცხვი (Tilia caucasica)	37	34	11	საღი
5	სოფორა (Sophora Japonica)	35	32	11	საღი
6	კვიპაროზი (Cupressus)	25.5	19.1	13	საღი
7	სოფორა (Sophora Japonica)	41	30	13	საღი
8	სოფორა (Sophora Japonica)	51	45	13	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული
9	თუთა (Morus)	56	45	16	საღი
10	კვიპაროზი (Cupressus)	38	29	13	საღი
11	კვიპაროზი (Cupressus)	48	37	16	საღი
12	კვიპაროზი (Cupressus)	27	22.3	16	საღი
13	სოფორა (Sophora Japonica)	70	64	16	გადაბერ./ ფაუტი/ სუროიანი/ ავარიული
14	სოფორა (Sophora Japonica)	64	57	16	გადაბერ./ სუროიანი/ ავარიული
15	კვიპაროზი (Cupressus)	46	38	17	საღი
16	სოფორა (Sophora Japonica)	37	30	13	ხმობადი/ ფაუტი/ ავარიული
17	კვიპაროზი (Cupressus)	82	70	17	საღი
18	კვიპაროზი (Cupressus)	64	54	17	საღი
19	კვიპაროზი (Cupressus)	37	27	15	საღი
20	კვიპაროზი (Cupressus)	48	35	17	საღი
21	კვიპაროზი (Cupressus)	35	23.9	17	საღი
22	კვიპაროზი (Cupressus)	17.5	11.8	6	ზეხმელი/ სურო
23	კვიპაროზი (Cupressus)	20.7	15.9	8	საღი/ გადარგვადი
24	ფიჭვი (Pinus eldarica)	54	48	17	საღი
25	კედარი (Cedrus deodara)	73	64	18	საღი
26	სოფორა (Sophora Japonica)	54	49	13	ხმობადი/ ფუღურო/ ავარიული
27	კვიპაროზი (Cupressus)	62	51	18	საღი/ გადარგვადი
28	კვიპაროზი (Cupressus)	43	37	18	საღი/ გადარგვადი
29	თუთა (Morus)	75	70	16	ხმობადი/ ფაუტი/ სურო/ ავარიული
30	კვიპაროზი (Cupressus)	33	28	12	საღი/ გადარგვადი
31	კვიპაროზი (Cupressus)	75	64	17	საღი/ გადარგვადი
32	ალვის ხე (Populus nigra)	80	64	11	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი/ სურო
33	ალვის ხე (Populus nigra)	56	38	11	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი
34	ალვის ხე (Populus nigra)	49	41	10,5	ამორტიზ./ ფაუტი/ გადანაბელი
35	ალვის ხე (Populus nigra)	61	48	11	ამორტიზ./ გადანაბელი
36	ჭადარი (Platanus)	156	134	9	გადაბერ./ გადანაბელი/ აბედა
37	ჭადარი (Platanus)	166	143	9	გადაბერ./ გადანაბელი
38	ტყემალი (Prunus cerasifera)	15.9	8.9	5	საღი/ ხილკენკრ.
39	აკაცია (Robinia pseudoacacia)	64	51	13	ხმობადი/ სურო/ მეტი წილი გამხმარი/ ავარიული
40	აკაცია (Robinia pseudoacacia)	48	32	11	ზეხმელი/ სურო/ ავარიული

41	ნეკერჩხალი (Acer campestre)	21.3	17.5	6	საღი/ სურო/ გადარგვადი
42	იფანი (Fraxinus)	2.2	1.3	2	საღი/ გადარგვადი
43	ცაცხვი (Tilia caucasica)	43	35	7	ზეხმელი/ გადანაბელი
44	ვერხვი (Populus alba)	3.8	1.3	2	საღი/ მრავალღეროიანი/ გადარგვადი
45	ცაცხვი (Tilia caucasica)	1.6		1	საღი/ გადარგვადი
46	ნეკერჩხალი (Acer campestre)	1.3		1	საღი/ გადარგვადი
47	ვერხვი (Populus deltoides)	80	64	13	ხმობადი/ ამორტიზ./ გადანაბელი/ სურო
48	ბოკვი (Acer velutinum)	4.8	2.9	3	საღი/ გადარგვადი
49	ნეკერჩხალი (Acer campestre)	2.2	1.3	2	საღი/ გადარგვადი
50	თუთა (Morus)	6.1	3.8	4	საღი/ გადარგვადი
51	ბოკვი (Acer velutinum)	6.4	3.8	3	საღი/ გადარგვადი
52	ქაღალდის ხე (Broussonetia papyrifera)	3.5	1.3	2	საღი/ გადარგვადი
53	ბოკვი (Acer velutinum)	4.8	3.2	3	საღი/ გადარგვადი
54	ბოკვი (Acer velutinum)	4.5	3.2	3	საღი/ გადარგვადი
55	ნეკერჩხალი (Acer campestre)	1.3		1	საღი/ გადარგვადი
56	კაკლის ხე (Juglans regia)	1.6		1	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი
57	ბოკვი (Acer velutinum)	2.9	1.3	2	საღი/ გადარგვადი
58	ნეკერჩხალი (Acer campestre)	3.8	1.9	2	საღი/ გადარგვადი
59	ნეკერჩხალი (Acer campestre)	2.9	1.3	2	საღი/ გადარგვადი
60	ნეკერჩხალი (Acer campestre)	2.2		1	საღი/ გადარგვადი
61	კვიდო (Ligustrum)	1.0		1	საღი/ გადარგვადი

ლევან გოშაძე *ექსპერტი;*

ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ*

№2202-011 საექსპერტო დასკვნის

დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია - ნაკვ. 01.17.13.001.356

























8


9


10


11


12


13


14


15



16




17
17




18




19




20




21




22




23




24


25


26


27


28


29


30


31



32


33


34


35


36


37


38








41


42


43


44


45


46



47




48




49




50




51




52




53




54
















